585
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 8

1985

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (479) აგვისტო 1985 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

276. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თ. გ. ბადურაშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

277. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წყალქვეშ სანადირო თოფების შეძენის, გაყიდვის, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.

278. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის თ. გ. ბადურაშვილის გაწვევის საკითხის აღძვრის შესახებ მასალების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის დასკვნისათვის გადაცემის თაობაზე.

279. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ატენის № 114 საარჩევნო ოლქისაგან თ. გ. ბადურაშვილის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის ჩატარების შესახებ.

280. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

281. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

282. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. რ. ასათიანის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

283. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ვ. გამცემლიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

284. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ზ. მაყაშვილის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

285. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. პ. გელეიშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

286. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ს. ახვლედიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

287. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კაპიტალური მშენებლობის დარგში დასაქმებულ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

288. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

289. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

290. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის კინოხელოვნებისა და კინოფიკაციის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

291. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

292. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. გ. ქავთარაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

293. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ხ. ლ. გაგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

294. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. დ. თუმანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

295. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ვ. გოგიჩაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

296. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

297. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ი. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

298. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. დ. კალანდარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

299. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ა. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

300. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. ყანჩელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

301. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ი. მოსაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

302. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ი. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

303. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

304. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ს. ბეტეევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

305. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. შ. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

306. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. თ. ცინცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

307. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. დ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

308. საქართველოსა სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კაპიტალური მშენებლობის დარგში დასაქმებულ მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

309. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

310. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის ჟურნალისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

№ 8
ეროვნული ბიბლიოთეკა

311. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ვ. ნემსი-წვერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

312. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ი. ქრისტესიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

313. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. შ. ქუჩუკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 276 თ. გ. ბადურაშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს თეიმურაზ გიორგის ძე **ბადურაშვილი** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 აგვისტო.

№ 214 — XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 277 წყალქვეშ სანადირო თოფების შეძენის, გაყიდვის, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ წყალქვეშ სანადირო თოფების შეძენის, გაყიდვის, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დარღვევებისათვის ბრალეულ პირებს დაედებათ ადმინისტრაციული სახდელის ზომები: მოქალაქეებს — ჯარიმა ათიდან ოცდაათ მანეთამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ, ხოლო თანამდებობის პირებს — ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ.

იგივე მოქმედებათა ჩადენა იმ პირების მიერ, რომლებსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდათ ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი დარღვევისათვის, გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ და თანამდებობის პირთა — ოცდაათიდან ას მანეთამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ.

2. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები ან სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები დარღვევების ჩადენის ადგილის მიხედვით.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ დარღვევათა საქმეების განხილვის საფუძველს წარმოადგენს მილიციის, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების და თევზდაცვის ინსპექციის მუშაკების მიერ შედგენილი ოქმი.

3. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ. № 12, მუხ. 420) შემდეგი ცვლილებები:

დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 183[1] მუხლი:

„**მუხლი 183[1].** წყალქვეშ სანადირო თოფების შეძენის, გაყიდვის, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დარღვევა

წყალქვეშ სანადირო თოფების შეძენის, გაყიდვის, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დარღვევა —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ათიდან ოცდაათ მანეთამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ, თანამდებობის პირთა — ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი დარღვევისათვის, —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ, თანამდებობის პირთა — ოცდაათიდან ას მანეთამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ";

206-ე მუხლში ციფრები „180-183" შეიცვალოს ციფრებით „180-183[1]".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 9 აგვისტო.
№ 215—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 278 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის თ. ბ. ბადურაშვილის გაწვევის საკითხის აღძვრის შესახებ მასალების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის დასკვნისათვის გადაცემის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მასალები საქართველოს სსრ უმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესი საბჭოს დეპუტატის ატენის № 114 საარჩევნო ოლქისაგან თეიმურაზ გიორგის ძე ბადურაშვილის გაწვევის საკითხის აღძვრის შესახებ დასკვნისათვის გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 აგვისტო.

№ 217—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 279 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ატენის № 114 საარჩევნო ოლქისაგან თ. გ. ბადურაშვილის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის ჩატარების შესახებ

განიხილა რა მასალები გორის რაიონის სოფელ ატენის კოლმეურნეობის, საყავრის საბჭოთა მეურნეობისა და სოფელ ქვახვრელის კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივების საერთო კრებებისა, რომელთაც აღძრეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ატენის № 114 საარჩევნო ოლქისაგან თ. გ. ბადურაშვილის გაწვევის შესახებ, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის დასკვნა ამ მასალებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი „საქარველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე **ადგენს:**

ჩატარდეს კენჭისყრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ატენის № 114 საარჩევნო ოლქისაგან თეიმურაზ გიორგის ძე ბადურაშვილის გაწვევის შესახებ 1985 წლის 14-დან 16 აგვისტომდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 13 აგვისტო

№ 219—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 280 საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 15 აგვისტო.

№ 221—XI

**დამტკიცებულია**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1985 წლის 15 აგვისტოს
ბრძანებულებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტების შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების შესახებ კანონების შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოები აწყობენ მოქალაქეთა ფართო მონაწილეობას ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში, კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელებაში.

ხალხის მასების აქტიურობის ამაღლების პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებრივ სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას.

#### 1. საზოგადოებრივი კომიტეტების შექმნის წესი და მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. საზოგადოებრივი სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტები წარმოადგენენ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოებს, რომელთა ძირითადი ამოცანაა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგებლობას განკუთვნილი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტაში მოქალაქეთა ფართოდ ჩაბმა.

2. საზოგადოებრივი კომიტეტები იქმნება ტერიტორიული პრინციპით. მათი საქმიანობის ტერიტორიას განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი:

სადაბო და სასოფლო კომიტეტისა — იმ დასახლებული პუნქტის ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც არ არის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს ადმინისტრაციული ცენტრი;

ქუჩის, უბნის კომიტეტისა — ერთი ან რამდენიმე ქუჩის, ქუჩის ნაწილის ან უბნის ტერიტორიის ფარგლებში;

სახლის კომიტეტისა — სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდის ერთი ან რამდენიმე სახლის ფარგლებში.

3. საზოგადოებრივ კომიტეტებს ირჩევენ ორწლინახევრის ვადით ღია კენჭისყრით მოქალაქეთა საერთო კრებებზე (ყრილობებზე) ან მათი წარმომადგენლების კრებებზე, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებული ნორმით.

4. საზოგადოებრივი კომიტეტის ასარჩევად მოქალაქეთა საერთო კრებას (ყრილობას) ან მათი წარმომადგენლების კრებას იწვევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით და იგი უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს საზოგადოებრივი კომიტეტის საქმიანობის ტერიტორიაზე მცხოვრებ თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეთა ან მათ წარმომადგენელთა არა ნაკლებ ნახევარი.

5. საზოგადოებრივ კომიტეტს ირჩევენ 5-15 კაცის შემადგენლობით. თითოეული საზოგადოებრივი კომიტეტის რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს მოქალაქეთა საერთო კრება (ყრილობა) ან მათი წარმომადგენლების კრება. კომიტეტის შემადგენლობაში ირჩევენ, როგორც წესი, მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მისი საქმიანობის ტერიტორიაზე და რომლებმაც მიაღწიეს 18 წლის ასაკს. არჩეულებად ჩაითვლებიან პირნი, რომლებიც მიიღებენ კრების მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს. კრების ოქმს ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი და იგი დაუყოვნებლივ წარედგინება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საზოგადოებრივი კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

6. საზოგადოებრივი კომიტეტის წევრები მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) ან მათი წარმომადგენლების კრების გადაწყვეტილებით შეიძლება ვადამდე გაანთავისუფლონ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისაგან. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებრივი კომიტეტის ახალ წევრთა არჩევა წარმოებს ამ დებულების მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

7. საზოგადოებრივ კომიტეტებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ შექმნან საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის, კეთილმოწყობის, სანიტარიის, კულტურულ-მასობრივი, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის, ბავშვთა შორის მუშაობისა და სხვა სექციები.

8. თავიანთ საქმიანობაში საზოგადოებრივი კომიტეტები ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით, ამ დებულებით, მოქალაქეთა საერთო კრებების (ყრილობების) და მათი წარმომადგენლების კრებების გადაწყვეტილებებით.

9. საზოგადოებრივი კომიტეტები ანგარიშვალდებულნი არიან მოქალაქეთა საერთო კრებების (ყრილობების), მათი წარმომადგენლების კრებების, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

საზოგადოებრივი კომიტეტები არანაკლებ წელიწადში ერთხელ ანგარიშს აბარებენ მოქალაქეთა საერთო კრებებს (ყრილობებს) ან მათი წარმომადგენლების კრებებს.

10. საზოგადოებრივ კომიტეტს აქვს თავისი სამკუთხა ბეჭედი, რომელზეც არ არის გამოსახული სახელმწიფო გერბი.

## II. საზოგადოებრივი კომიტეტების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი და უფლებამოსილებანი

11. საზოგადოებრივი სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტები თავიანთი საქმიანობის ტერიტორიის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობენ კანონების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის უმაღლესი ორგანოების სხვა აქტების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებების, ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებას, ორგანიზაციას უწევენ მოქალაქეთა საერთო კრებების (ყრილობების) და მათი წარმომადგენლების კრებების გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ბ) დახმარებას უწევენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მასობრივ-პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებაში;

გ) მონაწილეობენ ამომრჩევლებთან საბჭოების დეპუტატთა შეხვედრების, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციასა და საარჩევნო ოლქებში სხვა სამუშაოთა ჩატარებაში;

დ) მონაწილეობენ მუშაობაში მოქალაქეთა საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, მაღალი შეგნების, კოლექტივიზმის, მოქალაქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულების, კანონების დაცვისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, სახალხო დოვლათისადმი მომჭირნე დამოკიდებულების, ლოთობის, ხულიგნობის, მომხვეჭელობისა და კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით აღსაზრდელად;

ე) ხელს უწყობენ ტერიტორიულ შინაგან საქმეთა ორგანოებს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის მუშაობაში, საპასპორტო სისტემის წესების დაცვის უზრუნველყოფაში, იმ პირთა გამოვლენასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმაში, რომლებიც ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას, არასრულწლოვანთა შორის უზედამხედველობისა და სამართალდარღვევათა აღკვეთაში, ოჯახური და მეზობლური კონფლიქტების მოწესრიგებაში;

ვ) ნებაყოფლობით საწყისებზე ორგანიზაციას უწევენ მოსახლეობის მონაწილეობას ეზოებისა და სახლთან მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, გამწვანებისა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, სპორტული და ბავშვთა მოედნების, პიონერული ოთახების მოწყობისა და დაცვა-შენახვისათვის მუშაობაში;

ზ) მონაწილეობენ სახლებისა და სახლთან მიმდებარე ტერიტორიის სანიმუშო შენახვისა და გარეგნული იერ-სახისათვის, ყოფა-ცხოვრების მაღალი კულტურისათვის დათვალიერება-კონკურსებისა და შეჯიბრებათა მოწყობაში;

თ) დახმარებას უწევენ საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანოებს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია საბინაო ფონდის სწორი ექსპლუატაციისა და დაცვა-შენახვის, თბო-, ელექტროენერგიისა და წყლის დანაკარგების შემცირების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა მიერ საბინაო სათავსებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლებისა და მათთან მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-შენახვის, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის წარმოების წესების დაცვა;

ი) ხელს უწყობენ კულტურის დაწესებულებებს, სპორტულ ორგანიზაციებს მოსახლობაში კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობაში, კულტურული დასვენების ორგანიზაციაში, მხატვრული თვითმოქმედებისა და ხალხური შემოქმედების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში, ყოფა-ცხოვრებაში საბჭოთა ტრადიციების, დღესასწაულების და წეს-ჩვეულებების დანერგვაში, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და პროპაგანდაში;

კ) დახმარებას უწევენ სახალხო განათლების ორგანოებს ახალგაზრდობის საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების უზრუნველყოფაში, მის პროფესიულ ორიენტაციაში, სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის ჩატარებაში, ბავშვებთან აღმზრდელობითი მუშაობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მათი დასვენების ორგანიზაციაში;

ლ) ხელს უწყობენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს მოსახლეობაში სანიტარიულ-პროფილაქტიკური, ჰიგიენური და ეპიდემიასაწინააღმდეგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებების, აგრეთვე სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობის განხორციელებაში;

მ) ხელს უწყობენ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის სრულყოფას, სწავლობენ მოსახლეობის აზრს საწარმოთა განლაგების, მათი სპეციალიზაციისა და მუშაობის რეჟიმის საკითხებზე;

ნ) იჩენენ მზრუნველობას იმისადმი, რომ გაუმჯობესდეს ინვალიდების, მოხუცებულთა, სამხედრო მოსამსახურეთა, დაღუპულ მეომართა ოჯახების, დიდი სამამულო ომის მონაწილეთა, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახების, მშობელთა მეურვეობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, ხელს უწყობენ მათ მიიღონ კანონებით დადგენილ დახმარებათა და შეღავათების სახეობანი;

ო) ხელს უწყობენ დამამზადებელ ორგანიზაციებს რკინის ჯართის, მაკულატურის, სხვა სახეობათა მეორეული ნედლეულის, საჭმლის ნარჩენების შეგროვებაში, მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნამეტის შესყიდვის ორგანიზაციაში.

12. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადოებრივ კომიტეტებს შეიძლება დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალებათა შესრულება იმ საკითხებზე, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ დებულების მე-11 მუხლით.

13. საზოგადოებრივი კომიტეტები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში იხილავენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებს და საჩივრებს, იღებენ მოსახლეობას.

14. საზოგადოებრივი კომიტეტები უფლებამოსილი არიან:

ა) გამართონ მოქალაქეთა საერთო კრებები (ყრილობები) ან მათი წარმომადგენლების კრებები იმ საკითხთა განსახილველად, რომლებიც საზოგადოებრივი კომიტეტების გამგებლობას განეკუთვნება;

ბ) თავიანთი საქმიანობის ტერიტორიაზე განახორციელონ საზოგადოებრივი კონტროლი განაშენიანების წესების შესრულების, მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების, ბინების, ტროტუარების, გზების სწორი დაცვაშენახვისა და დროული შეკეთებისადმი და აგრეთვე მათს გამგებლობას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე; შეიტანონ შესაბამის ორგანოებში წინადადებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) შეიტანონ წინადადებანი და შუამდგომლობით მიმართონ მათს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტს, საბჭოს მუდმივ კომისიებს, აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, მასთან არსებულ კომისიებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს;

დ) მოისმინონ კომიტეტის სხდომაზე, მოქალაქეთა საერთო კრებაზე (ყრილობაზე) იმ პირთა ახსნა-განმარტება, რომლებმაც დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულებანი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესები; საჭიროების შემთხვევაში გაგზავნოს მასალები ამხანაგური სასამართლოს, სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის, სამეთვალყურეო და ადმინისტრაციული კომისიის, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის, საყოფაცხოვრებო სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის კომისიების, სახანძრო და საგზაო ზედამხედველობის ორგანოების ან სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების და დაწესებულებების განსახილველად და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში შესაბამისი ზომების მისაღებად.

15. სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები, საბჭოს მუდმივი კომისიები და მის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომისიები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაცია ვალდებული არიან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში განიხილონ საზოგადოებრივი კომიტეტის წინადადება ან შუამდგომლობა და აცნობონ მას განხილვის შედეგები.

16. საზოგადოებრივ კომიტეტებს შეუძლიათ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეხედულებისამებრ ზოგიერთი სახის ცნობა მისცენ საზოგადოებრივი კომიტეტის საქმიანობის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს.

### III. საზოგადოებრივი კომიტეტების მუშაობის ორგანიზაცია

17. საზოგადოებრივი სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტები თავიანთ მუშაობას ახორციელებენ იმ გეგმების მიხედვით, რომლებიც დგება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის დავალებათა გათვალისწინებით. გეგმებს ამტკიცებენ საზოგადოებრივი კომიტეტის სხდომებზე.

მთელ თავიანთ მუშაობას საზოგადოებრივი კომიტეტები ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს მუდმივ კომისიებთან, მის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კომისიებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან, აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებთან და სამმართველოებთან, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომითს კოლექტივებთან მჭიდრო კონტაქტითა და ურთიერთმოქმედებით.

18. საზოგადოებრივი კომიტეტის სხდომებს იწვევენ საჭიროების მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ ერთხელ კვარტალში, და ისინი უფლებამოსილია იმ შემთხვევაში, თუ ესწრება შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საზოგადოებრივი კომიტეტის სხდომები **ღიაა.**

საზოგადოებრივი კომიტეტის მიერ განსახილველ ყველა საკითხს წყვეტენ კომიტეტის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით და შეაქვთ ოქმში. საზოგადოებრივი კომიტეტის სხდომათა ოქმებს ხელს აწერენ კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

19. საზოგადოებრივი კომიტეტები ადმინისტრაციული უფლებებით არ სარგებლობენ, მათი გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

საზოგადოებრივი კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გააუქმოს ქალაქეთა საერთო კრებამ (ყრილობამ) ან მათი წარმომადგენლებმა, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა შესაბამისმა საბჭომ, მისმა აღმასრულებელმა კომიტეტმა.

20. საზოგადოებრივი კომიტეტის თავმჯდომარე ორგანიზაციას უწევს კომიტეტის მუშაობას, აკონტროლებს კომიტეტის მუშაობის გეგმებისა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, აძლევს დავალებებს კომიტეტის წევრებს, უზრუნველყოფს მასალების მომზადებას კომიტეტის გამგებლობას განკუთვნილ საკითხთა კოლეგიური გადაწყვეტისათვის, რეგულარულად აწვდის ინფორმაციას გაწეული მუშაობის შესახებ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

## IV. საზოგადოებრივი კომიტეტებისადმი ხელმძღვანელობა

21. საზოგადოებრივი სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საზოგადოებრივ კომიტეტებს უწევს ორგანიზაციულ და მეთოდურ დახმარებას. აცნობს მათ თავისი მუშაობის გეგმებს, თავის კონკრეტულ ამოცანებს სამეურნეო და სოციალური მშენებლობის დარგში; პერიოდულად ამოწმებს საზოგადოებრივი კომიტეტების ურთიერთმოქმედებასა და მჭიდრო კონტაქტებს საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიებთან, მის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კომისიებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან, დეპუტატთა ჯგუფებთან, აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებთან და სამმართველოებთან, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომით კოლექტივებთან; აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას საზოგადოებრივ კომიტეტებს შორის და წაახალისებს გამარჯვებულებს.

22. სახალხო დეპუტატთა საბჭოს საქალაქო, ქალაქის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში ქალაქის, ქალაქის რაიონის მიკრორაიონთა ტერიტორიაზე შექმნილი ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტების მუშაობის კოორდინაცია ეკისრებათ მიკრორაიონთა საზოგადოებრივ საბჭოებს.

23. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანოები ახორციელებენ ღონისძიებებს საზოგადოებრივი კომიტეტების მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად, უწევენ პრაქტიკულ დახმარებას მათს უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები

### 281 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1966 წ., № 11, მუხ. 184; 1984 წ., № 4, მუხ. 100) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 129-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 129.** გამომძიებლის მოვალეობა — უზრუნველყოს განაჩენით ქონების შესაძლო კონფისკაცია ან სატრანსპორტო საშუალების შესაძლო ჩამორთმევა

ისეთი დანაშაულის საქმის გამოძიებისას, რომლისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელი ქონების კონფისკაციის ან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით, გამომძიებელი მოვალეა მიიღოს ზომები ბრალდებულის ქონების ან სატრანსპორტო საშუალების გადამალვის წინააღმდეგ“.

2. 174-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოქალაქო სარჩელის, ქონების შესაძლო კონფისკაციის ან სატრანსპორტო საშუალების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის მიზნით გამომძიებელი მოვალეა დააყადაღოს ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, ან მათი მოქმედებისათვის კანონით მატერიალურად პასუხისმგებელი პირთა ან სხვა იმ პირთა ქონება ან სატრანსპორტო საშუალება, რომლებთანაც იმყოფება სატრანსპორტო საშუალება ან დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება“.

3. 213-ე მუხლის მე-10 პუნქტსა და 231-მუხლის მე-5 პუნქტს სიტყვების „სამოქალაქო სარჩელის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის“, ხოლო 230-ე მუხლის მე-10 პუნქტში სიტყვები „შესაძლებელ კონფისკაციას“ შეიცვალოს სიტყვებით „შესაძლო კონფისკაციას ან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას“.

4. 314-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 314.** ქონების კონფისკაციის ან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის უზრუნველყოფა

ისეთი განაჩენის დადგენის დროს, რომელიც ითვალისწინებს ქონების კონფისკაციას ან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას, სასამართლო მიიღებს ზომებს ქონების კონფისკაციის ან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, თუ ასეთი ზომები ადრე არ ყოფილა მიღებული“.

5. 319-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) მითითებას ქონების კონფისკაციის ან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის უზრუნველყოფის ზომების გაუქმების შესახებ, თუ ასეთი ზომები მიღებული იყო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. შეტანილ იქნეს საქართველოს სს რესპუბლიკაში მსჯავრდებულთა შრომა-გასწორებით ლონისძიებებთან დაუკავშირებელი სისხლის სამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ დებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., № 1, მუხ. 2) შემდეგი დამატებები:

1. პირველი მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „მშობლის უფლებების ჩამორთმევა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სატრანსპორტო საშუალებათა ჩამორთმევა“.

2. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის IX თავი:

„თავი IX. სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

**მუხლი 33.** სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა განაჩენი დამატებითი სასჯელის სახით სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აღმასრულებელ ფურცელს და განაჩენის ასლს აღსასრულებლად უგზავნის სასამართლო აღმასრულებელს, რის შესახებ შეატყობინებს საკომისიო მაღაზიას.

**მუხლი 34.** სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღმასრულებელი ორგანო

სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით სასჯელს აღასრულებენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს აღმასრულებლები სატრანსპორტო საშუალების მუდმივი აღრიცხვის ადგილსამყოფელის მიხედვით.

**მუხლი 35.** სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ჩამორთმევას ექვემდებარება

ჩამორთმევას ექვემდებარება სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მსჯავრდებულის პირად საკუთრებას შეადგენს.

დავა იმ სატრანსპორტო საშუალების კუთვნილების შესახებ, რომელიც სასამართლოს განაჩენით ჩამორთმევას ექვემდებარება, წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**მუხლი 36.** ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების საკომისიო მაღაზიისათვის სარეალიზაციოდ გადაცემა

აღმასრულებელი ფურცლის მიღების შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი დაუყოვნებლივ ამოწმებს ჩამოსართმევი სატრანსპორტო საშუალების არსებობას და მდგომარეობას და მას სარეალიზაციოდ გადასცემს საკომისიო მაღაზიას; ამასთან გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა, სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, გადაეცემა ყოფილ მესაკუთრეს.

**მუხლი 37.** საალსრულებო მოქმედებათა დამთავრება

ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების საკომისიო მაღაზიისათვის გადაცემის შემდეგ აღმასრულებელი ფურცელი სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის აღსრულების აღნიშვნით უბრუნდება განაჩენის გამომტან სასამართლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკომისიო მაღაზია განაჩენის გამომტან სასამართლოს უგზავნის სატრანს-პორტო საშუალების ჩამორთმევის ნაწილში განაჩენის აღსრულების დამადას-ტურებელ ცნობებს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 26 აგვისტო.
№ 229—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 282 ამხ. ვ. რ. ასათიანის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ვალერი როსტომის ძე ასათიანი საქართველოს სსრ კულ-ტურის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 27 აგვისტო.
№ 231—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 283 ამხ. გ. პ. გამცემლიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველო-ბის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი პავლეს ძე გამცემლიძე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან პირადი თხოვნის თანახ-მად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 27 აგვისტო.
№ 232—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 284 ამხ. ბ. ზ. მაყაშვილის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველო-ბის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ბელა ზაქარიას ასული მაყაშვილი საქართველოს სსრ

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუბუქი მრეწველობის მინისტრად და განთავისუფლდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 27 აგვისტო.

№ 233—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 285 ამხ. თ. პ. გელეიშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

განთავისუფლდეს ამხ. თენგიზ პავლეს ძე **გელეიშვილი** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აგვისტო.

№ 254ა—XI

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 286 ამხ. რ. ს. ახვლედიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის ჰიდროქიმიური ლაბორატორიის გამგეს ამხ. რაფიელ სემინარის ძე **ახვლედიანს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 აგვისტო.

№ 208—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 287 კაპიტალური მშენებლობის დარგში დასაქმებულ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი“

**ზავგოროდნის** ალექსანდრე ვასილის ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის ტრესტის ინჟინერს.

**ისააკიანს** თამარ არშაკის ასულს — ინსტიტუტ „ტიაჟპრომელექტროპროექტის“ თბილისის განყოფილების ხარჯთაღრიცხვის განყოფილების უფროსს.

**პატიაშვილს** ოთარ გიორგის ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

**ქევანიშვილს** შოთა ექვთიმეს ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 10 საგზაო სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსს.

**ხეციას** ლევან ჯოტოს ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**გელაზონიას** ლაზარე პარმენის ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „კომპლექტმშენის“ მმართველის პირველ მოადგილეს.

**ვარავინას** სვეტლანა ტიმოთეს ასულს — ინსტიტუტ „საქსოფლმშენსახპროექტის“ განყოფილების უფროსის მოადგილეს.

**კვაჭანტირაძეს** ალექსანდრე მიხეილის ძეს — ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ განყოფილების გამგის მოადგილეს.

**ორაგველიძეს** შოთა ილიას ძეს — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის“ განყოფილების უფროსს.

**ჩანჩიბაძეს** ვალერიან ბარნაბის ძეს — საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

**ჯინჭარაძეს** ნინო გიორგის ასულს — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი“

**ბირკაიას** ქეთევან არჩილის ასულს — თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის სექტორის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კახიანს** იაკობ ნოეს ძეს — ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ ჯგუ-ფის ხელმძღვანელს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

**ლლონტს** ვლადიმერ კონსტანტინეს ძეს — „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს **უფროსს.**

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“**

**ლორთქიფანიძეს** მარიამ ელიზბარის ასულს — ამიერკავკასიის სატრანს-პორტო მშენებლობის ტრესტის სამმართველოს უფროს ბუღალტერს.

**„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“**

**მელნიკოვს** ნიკოლოზ მაკარის ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სა-მინისტროს „პრომჟელდორტრანსის“ რუსთავის საწარმოო გაერთიანების ზეინ-კალს.

**„საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი“**

**მაჩიტაძეს** გიორგი ნოშრევანის ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სა-მინისტროს № 2 ტრესტის ბრიგადირს.

**ჭრელაშვილს** ენგელს ივანეს ძეს — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს თბილისის კერამიკული კომბინატის აირშემდუ-ღებელს.

**ხარაზაშვილს** ვახტანგ მიხეილის ძეს — „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ თბილისის სამმართველოს ბრიგადირს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 28 აგვისტო.
№ 234—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 288 ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში წვლი-ლისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ ფიზკულტურის და სპორტის დამსახურებული მუშაკი“

**კალაძეს** ოთარ პეტრეს ძეს — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს.

**მაისურაძეს** კონსტანტინე ივანეს ძეს — უმაღლესი სპორტული ოსტატების № 3 რესპუბლიკური სკოლის უფროს მეთოდისტს.

**მაჩხანელს** ზურაბ გიორგის ძეს — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელს.

**მაჭავარიანს** თენგიზ აკაკის ძეს — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ადმინისტრატორს.

**მურკესს** ალექსანდრე აბრამის ძეს — უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლის აფხაზეთის ფილიალის უფროსს.

**ოგანოვს** ივანე ივანეს ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილების უფროსს.

**პავლიაშვილს** გიორგი იასონის ძეს — ქ. თბილისის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

**პირგულოვს** ირაკლი ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის „საქსპორტუზრუნველყოფის“ სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

**რურუას** ვლადიმერ ისიდორეს ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ველოტრეკის გამგეს.

**ცქიტიშვილს** გივი კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი სპორტული სამმართველოს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**ჭაჭიაშვილს** ბარდლა სევასტის ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის „საქსპორტრემმშენის“ ტრესტის მმართველის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“

**იოგანს** კარლო ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 28 აგვისტო.

№ 237—XI

## 289 რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**ადამიას** გულნარა სევერიანეს ასულს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსს.

**აკოფაშვილს** გიორგი შიოს ძეს — თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მუშას.

**ბალიაშვილს** სოფიო იოსების ასულს — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშას.

**ბასანეცს** ალექსანდრე მიხეილის ძეს — თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშას.

**ბესტავაშვილს** კარლო ნიკოლოზის ძეს — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მუშას.

**ბუგროვა-სემიონოვას** ლიდია თევდორეს ასულს — სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშას.

**ბულგაკოვს** ალექსანდრე ივანეს ძეს — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მუშას.

**გორდელაძეს** ნინო დავითის ასულს — თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მუშას.

**გრძელიძეს** შოთა სევერიანის ძეს — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშას.

**დათუნაშვილს** ტირუნ პოლოსის ასულს — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მუშას.

**დეკანოსიძეს** ლამარა გიორგის ასულს — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ პროფკომის თავმჯდომარეს.

**დოლიძეს** ტიტიკო ლეონტის ძეს — ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის მომარაგების განყოფილების ბრიგადირს.

**ვარტიკოვას** სტელა ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს „საქტყავფეხსაცმელმრეწვის“ განყოფილების უფროსს.

**ზარეცკაიას** ოლღა ანდრიას ასულს — თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშას.

**ზებედაშვილს** ალექსანდრა იაკობის ასულს — თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის საამქროს უფროსს.

**თათეიშვილს** ლილი დავითის ასულს — თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშას.

**კავსაძეს** ივერი გრიგოლის ძეს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო სამკერვალო გაერთიანების უფროსის მოადგილეს.

**კვირიკაშვილს** ციალა იოსების ასულს — თბილისის ტრიკოტაჟის სამრეწველო გაერთიანება „გლდანის" მუშას.

**კიწმარიშვილს** ბეგი მიხეილის ასულს — თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" მუშას.

**კობახიძეს** რევაზ ნიკიფორეს ძეს — თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკის მუშას.

**კორაშვილს** თამარ ქარუმის ასულს — სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკის მუშას.

**კელაპტრიშვილს** ჟუჟუნა გრიგოლის ასულს — თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშას.

**ლომიძეს** ზინა სპირიდონის ასულს — თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშას.

**მაისურაძეს** ციური დავითის ასულს — თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკის მუშას.

**მოროზოვას** ელენე ანდრიას ასულს — თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება „ბახტრიონის" მუშას.

**ნადირაშვილს** ელენე გიორგის ასულს — თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშას.

**პავლოვას** ანა ემელიანეს ასულს — თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" მუშას.

**პანკოვას** ზინა სიმონის ასულს — მახარაძის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მუშას.

**სამსონიას** ილია ამბაკოს ძეს — მახარაძის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მუშას.

**სარდლიშვილს** ქეთევან ალექსანდრეს ასულს — თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება „ბახტრიონის" მუშას.

**სიმონიშვილს** მერი სიმონის ასულს — თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშას.

**ტოლოკონნიკოვას** ირინა ალექსის ასულს — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის" მუშას.

**ურთაშვილს** ეკატერინე გიორგის ასულს — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშას.

**ფრანგიშვილს** თამარ მელიტონის ასულს — სამტრედიის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მუშას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ყაჯრიშვილს** მერი არჩილის ასულს — სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკის მუშას.

**ყიფიანს** გივი ვიქტორის ძეს — სოხუმის საქსოვი ფაბრიკის დირექტორს.

**ჩიბიროვს** გიორგი დიანოზის ძეს — თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მუშას.

**ჯანელიძეს** ნორა თევდორეს ასულს — სამტრედიის აბრეშუმსახვევ-სართავი ფაბრიკის მუშას.

**ჯიშკარიანს** თომა არქიპოს ძეს — ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშას.

**ჯოჯუას** მატრონა სარდიონის ასულს — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშას.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**ბეჟუაშვილს** ოთარ პოლიკარპეს ძეს — თბილისის სართავი ფაბრიკის მთავარ ინჟინერს.

**კვარაცხელიას** ვალერიან პავლეს ძეს — ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ოსტატს.

**მანჯგალაძეს** ალიმ ვლადიმერის ძეს — ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის ტყავნედლეულის ქარხნის დირექტორს.

**ხურციას** ნექტარი კირილეს ძეს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსს.

**ჯიქიას** ნანა ვლადიმერის ასულს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 28 აგვისტო.
№ 238—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 290 რესპუბლიკის კინოხელოვნებისა და კინოფიკაციის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის რესპუბლიკის კინოხელოვნებისა და კინოფიკაციის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

**ბახტაძეს** ვახტანგ დავითის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტფილმების დამდგმელ რეჟისორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენგელაიას** გიორგი ნიკოლოზის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს.

### „საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“

**გიგაურს** გივი ლევანის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ მხატვარს.

**თაყაიშვილს** დიმიტრი გიორგის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-მხატვარს.

**მეძმარიაშვილს** ილამაზ (ზურაბ) ალექსანდრეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ მხატვარს.

### „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

**დოლიძეს** თეიმურაზ სიმონის ძეს — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორს.

**ერქომაიშვილს** ნუგზარ ისიდორეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სცენარისტ-ოპერატორს.

**ლომიძეს** ქუქუნა კალისტრატეს ასულს — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორს.

**შველიძეს** იზოლდა დავითის ასულს — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

**ისაევს** ალი ისას ძეს — მსახიობს.

**ძიძავას** ჯუმბერ დავითის ძეს — მსახიობს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“

**ხმალაძეს** ვახტანგ საბას ძეს — კინოგაქირავების რესპუბლიკური კანტორის რეკლამის მთავარ მხატვარს.

### „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

**ვალიევს** ჰუსეინ მაგარამის ძეს — მარნეულის რაიონის კინოფიკაციის დირექტორს.

**გოგატიშვილს** სიმონ ილიას ძეს — საქართველოს სსრ სახკინოს კინოფიკაციის სამმართველოს წამყვან ინსპექტორს.

**დოლიძეს** ვალერიან მიხეილის ძეს — ჩოხატაურის რაიონის კინოფიკაციის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ერიანს** ვლადიმერ მიხეილის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კომბინირებულ გადაღებათა ოპერატორს.

**მარგარიანს** ალექსანდრე არამაისის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კომბინირებულ გადაღებათა ოპერატორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1985 წლის 30 აგვისტო.

№ 252—XI

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

### 291 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

**ლომაძეს** მამია ვიქტორის ძეს — მახარაძის რაიონის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს.

**ხარაღიძეს** გურამ ვარლამის ძეს — ზესტაფონის რაიონის სახელმწიფო ინსპექტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**ბეტონიძეს** იოსებ პეტრეს ძეს — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს განყოფილების უფროსს.

**კიკვაძეს** ლევან ვასილის ძეს — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს.

**რუხაიას** ავთანდილ ივლიანეს ძეს — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროს უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1985 წლის 30 აგვისტო.

№ 253—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 292 ამხ. თ. გ. ქავთარაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ზესტაფონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ამხ. თენგიზ გრიგოლის ძე **ქავთარაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აგვისტო.

№ 249—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 293 ამხ. ხ. ლ. გაგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — კონსულტანტი ამხ. ხუტა ლავრენტის ძე **გაგუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 აგვისტო.

№ 207—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 294 ამხ. გ. დ. თუმანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაკულტეტის დეკანი ამხ. გრიგოლ დიმიტრის ძე **თუმანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 აგვისტო.

№ 206—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 295 ამხ. კ. ვ. გოგიჩაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. კარლო ვლადიმერის ძე **გოგიჩაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 8 აგვისტო.

№ 212—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 296 ამხ. ჯ. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სატრანსპორტო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მთავარი ინჟინერი ამხ. ჯუმბერ დავითის ძე **გოცირიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 8 აგვისტო.

№ 211—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 297 ამხ. ი. ი. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. იუზა იპოლიტეს ძე **თოფურია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 8 აგვისტო.
№ 209—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 298 ამხ. თ. დ. კალანდარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი ამხ. ოთარ დიმიტრის ძე **კალანდარიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 8 აგვისტო.
№ 213—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 299 ამხ. ლ. ა. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სტატისტი-

კური სამმართველოს უფროსი ამხ. ლევ ალექსანდრეს ძე **სანაკო[illegible]** დოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატ[illegible]**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 8 აგვისტო.

№ 210—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 300 ამხ. გ. ა. ყანჩელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი გიორგი (გია) ალექსანდრეს ძე **ყანჩელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 9 აგვისტო.

№ 216—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 301 ამხ. თ. ი. მოსაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თეიმურაზ ილიას ძე **მოსაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 13 აგვისტო.

№ 220—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 302 ამხ. კ. ი. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქალაქების დაგეგმარებისა და განაშენიანების განყოფილების მთავარი ინჟინერი ამხ. კახა ივანეს ძე ჯავახიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 16 აგვისტო.
№ 222—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 303 ამხ. ზ. გ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ზაალ ბესარიონის ძე გელდიაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 აგვისტო.
№ 225—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 304 ამხ. ს. ს. ბეტევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი უმწიკვლო მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილების უფროსი სამხ[illegible]თის ავტონომიურ ოლქში პოლკოვნიკი სერგი სიმონის ძე **ბეტე[illegible]** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 23 აგვისტო.
№ 228—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 305 ამხ. თ. შ. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გაზეთ „ლელოს" დანართის — „ჭადრაკის" გამოცემის რედაქტორი ამხ. თენგიზ შალვას ძე **გიორგაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 23 აგვისტო.
№ 227—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 306 ამხ. ს. თ. ცინცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. სულხან თევდორეს ძე **ცინცაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 23 აგვისტო.
№ 226—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 307 ამხ. მ. დ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში პირადი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. მირონ დიმიტრის ძე **ჩუბინიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 26 აგვისტო.
№ 230—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 308 კაპიტალური მშენებლობის დარგში დასაქმებულ მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**განუგრავა** სერგი ალექსანდრეს ძე — ინსტიტუტ „თბილავტოგზატრანსსახპროექტის" პროექტის მთავარი ინჟინერი.

**თევდორაძე** ავთანდილ ტარასის ძე — № 108 ხიდმშენებელი უბნის უფროსი.

**იკაევი** სევასტი ლევანის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტის ბრიგადირი.

**ტაკიძე** ზურაბ სულეიმანის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის ბრიგადირი.

**ჯანუაშვილი** ანტონინა ანტონის ასული — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 სახლსაშენებელი კომბინატის განყოფილების უფროსის მოადგილე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 28 აგვისტო.
№ 235—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 309 რესპუბლიკის ჟურნალისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

შენგელი შალვა ვლადიმერის ძე — პენსიონერი.

**ჯაველიძე** ნოდარ კაპიტონის ძე — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აგვისტო.
№ 251—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 310 ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში წვლილისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**გოდერძიშვილი** გიორგი ალექსანდრეს ძე — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე.

**კახუშაშვილი** ნოდარ იოსების ძე — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.

**მეგრელაძე** აკაკი ფილიპეს ძე — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

**ქემოკლიძე** ბუდუ გერონტის ძე — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 28 აგვისტო.
№ 236—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 311 ამხ. ი. ვ. ნემსიწვერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. იური ვასილის ძე **ნემსიწვერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აგვისტო.
№ 250—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 312 ამხ. კ. ი. ქრისტესიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კარლო ივანეს ძე **ქრისტესიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აგვისტო.
№ 254—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 313 ამხ. ქ. შ. ქუჩუკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ქეთევან შიოს ასული **ქუჩუკა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 აგვისტო.

№ 248—XI

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

29 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. მოსმენილ იქნა ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. გიგაურის ინფორმაცია სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით ახმეტის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრის მიზნით თავიანთ სესიებზე განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შედეგები და დაამტკიცეს ძირითად ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმა რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. ახორციელებენ რა დასახულ გეგმებს, საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები აუმჯობესებენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობას, იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას მათდამი დაქვემდებარებული სამეურნეო ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განსახორციელებლად. მათს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების მოცულობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

ამასთან ერთად ხაზი გაესვა, რომ ახმეტის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის დონე ჯერ კიდევ დაბალია და ვერ უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების მოთხოვნებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და მითითებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მთელი თავისი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარმართოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული

დებულებებისა და მითითებების შესაბამისად. უზრუნველყოს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადებას-თან დაკავშირებით ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესება, გა[illegible]-რის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტიურობა 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად.

ახმეტის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევა-ლოთ:

აქტიურად შეუწყონ ხელი სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო ორგა-ნიზაციების და საბჭოთა მეურნეობების შრომით კოლექტივებში წინასაყრი-ლობო სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, მხარი დაუჭირონ და ფარ-თოდ გაავრცელონ მოწინავე კოლექტივების, წარმოების ნოვატორების, დეპუ-ტატების ინიციატივა და მუშაობის დადებითი გამოცდილება; კიდევ უფრო აამაღლონ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებ-ლად; გააძლიერონ ბრძოლა დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცე-ბისათვის, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყე-ნებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისათვის;

სისტემატური კონტროლი დააწესონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურ-ნეო წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვაზე, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გავრცელებაზე, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის გეგმების შესრულებაზე; ყურადღების გა-რეშე არ დატოვონ მიწის, ნედლეულის, სასოფლო-სამეურნეო ტექ-ნიკის უდიერად გამოყენების არც ერთი ფაქტი, გააძლიერონ ამ საკითხები-სადმი საბჭოების აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების და დეპუტატთა საგუშაგოების ზრუნვა და ყურადღება;

დღენიადაგ იზრუნონ მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლე-ბისათვის, თითოეულ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოსავლია-ნობის მკვეთრი გადიდებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას; საბჭოთა მეურნეობებ-ისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, სოფლის ყოველი მშრო-მელის ძალისხმევა დაუქვემდებარონ სასურსათო პროგრამის წარმატებით რეა-ლიზაციის ამოცანებს;

უზრუნველყონ კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევა, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელება, ხელი შეუწყონ ამ საქმეში დეპუტატების, საბჭოთა აქტივის ფართოდ ჩაბმას, უფრო უნარია-ნად გამოიყენონ ორგანიზაციული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და აღ-მზრდელობითი ზომები; გააქტიურონ წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, ამხანაგური სასამართლოებისა და ნებაყოფლობითი სახალხო რაზ-მეულების მონაწილეობა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში, დაამკვიდრონ სოციალური სამართლიანობა და წესრიგი ყვე-ლგან და ყველაფერში;

მიაღწიონ მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურების სფეროს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის ხარისხი, გააფართოონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მოცულობა და ასორტიმენტი;

თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში განავითარონ დემოკრატიული საწყისები; აამაღლონ სესიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი; სრულყონ მოსახლეობის წინაშე დეპუტატების, აღმასკომების, მათი განყოფილებებისა და სამსახურების ხელმძღვანელთა ანგარიშგების ორგანიზაცია; გააფართოონ შეკითხვის წესით დეპუტატების მიერ სესიებზე საკითხების დაყენების პრაქტიკა;

სისტემატური კონტროლი დააწესონ ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობისადმი; გააუმჯობესონ მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია, იბრძოლონ ამ საქმეში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის აღმოფხვრისათვის;

ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დეპუტატების ინიციატივისა და აქტივობის შემდგომ ზრდას, უზრუნველყონ მათი პასუხისმგებლობის ამაღლება განაწესების შესრულებისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური პროგრამის რეალიზაციისათვის, გააუმჯობესონ დეპუტატთა ტერიტორიული და საწარმოო ჯგუფების, დეპუტატთა საგუშაგოების საქმიანობა; გააძლიერონ ხელმძღვანელობა მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი, უფრო ფართოდ გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის;

უზრუნველყონ საბჭოების მუშაობის საჯაროობა: მათი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები რეგულარულად განიხილონ შრომით კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს რეკომენდაცია მიეცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად თავიანთი პრაქტიკული საქმიანობა დაუქვემდებარონ ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანებს; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის საფუძველზე უზრუნველყონ შრომითი კოლექტივების მობილიზება მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ასამაღლებლად, 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

* *

*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სხდომაზე აღნიშნა, რომ 1985 წლის 24-30 ივნისს **საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანად ძირითადად ორგანიზებულად და საქმიან ვითარებაში ჩატარდა.

დეპუტატებმა ანგარიში ჩააბარეს ამომრჩევლებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობისა და თავიანთი მუშაობის შესახებ, გააცნეს მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის დადგენილების შესრულებისა და სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების, საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახელმწიფო მართვის ორგანოების მუშაობის დემოკრატიული ფორმების გაღრმავების, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები.

შეხვედრების მიმდინარეობისას მთავარი ყურადღება მიექცა მშრომელთა დარაზმვას მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად, ხუთწლედის სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრებმა ცხადყვეს, რომ საქართველოს მშრომელები მთლიანად და სავსებით იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და მითითებებს და გამოთქვამენ მზადყოფნას კვლავაც ილვაწონ საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ასამაღლებლად, ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის მოძრაობის გასაფართოებლად, მუშაობაში მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად, დისციპლინისა და მართლწესრიგის ყოველმხრივ განსამტკიცებლად, ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გასაძლიერებლად, მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვის გასაუმჯობესებლად.

დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრებისადმი მიძღვნილი კრებების უმრავლესობა გამოირჩეოდა თავისი შინაარსით, ამომრჩეველთა აქტიურობით, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით; მათ თვალნათლივ დაადასტურეს დეპუტატთა კომპეტენტურობა, შრომითი და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობა.

ამომრჩევლებს შეხვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 395 დეპუტატი, ანუ მათი საერთო რიცხვის 89,9 პროცენტი, შეხვედრებს ესწრებოდა თითქმის 112 ათასი ამომრჩეველი, სიტყვით გამოვიდა ორი ათასამდე კაცი, გამოთქმულ იქნა 800-მდე წინადადება, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივმა საბჭოებმა მიიღეს შესასრულებლად, ხოლო 120-მდე უშუალოდ დეპუტატებმა გაუგზავნეს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს რეაგირებისათვის და დააწესეს კონტროლი მათი რეალიზაციის მიმდინარეობისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამასთან ერთ[illegible] ნიშნავს, რომ რიგი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებ[illegible] სეროიზულობით არ ეკიდებიან დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზაციის საკითხებს, ზოგან არადამაკმაყოფილებელია დასწრება, დაბალია ამომრჩეველთა აქტივობა, მოწესრიგებული არ არის კრებებზე შემოსული წინადადებების აღრიცხვა-რეაგირების საქმე. ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო არ უწყობს ხელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ოლქის ამომრჩევლებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ არასაკმარისია რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხებისადმი ყურადღება; ოპერატიულად არ წყდება მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მრავალი საკითხი.

გაუმჯობესებას საჭიროებს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანოების მონაწილეობა ამომრჩევლებთან დეპუტატების შეხვედრების ერთიანი კვირის ჩატარებაში, საარჩევნო ოლქებში მათი მუშაობის გაშუქების, დაგროვილი დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და პროპაგანდის საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

* *

*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ზ. გ. ნამიჩეიშვილის ინფორმაცია „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“ კანონის შესაბამისად მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობის თაობაზე“ და ამავე საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების ცნობა.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ:

გააანალიზონ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკა და განახორციელონ ღონისძიებანი მისი ძირეული სრულყოფისათვის;

მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიული ფორმებისა და მეთოდების შემდგომი განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის, 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებათა მოთხოვნებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და მითითებებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაღწიონ, რომ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები სრულად ახორციელებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფდნენ პარტიის მოთხოვნებისა და კონსტიტუციური ნორმების უცილობლივ შესრულებას;

გააქტიურონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან არსებული მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობა. საბჭოების სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხები, მეტი ყურადღება დაუთმონ მათი საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას, დადებითი გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებას; ძირეულად გააუმჯობესონ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ხელმძღვანელთა და საბჭოს აქტივის სწავლება;

განამტკიცონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, აღმასკომებთან არსებული კომისიების მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან თანამშრომლობა, უზრუნველყონ საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე, აგრეთვე შრომითს კოლექტივებში, სოფლის ყრილობებსა და მოქალაქეთა საერთო კრებებზე მათი ანგარიშებისა და ინფორმაციების მოსმენა; ფართოდ ჩააბან ეს ორგანოები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

უზრუნველყონ 1985 წლისა და მთლიანად XI ხუთწლედის დავალებათა და აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრა.

სათანადო დავალებანი მიეცათ რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს.

* *

*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხები: მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობაში ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურებისა და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის თბილისის გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საქმიანობის შესახებ, „საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისა და მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისათვის ირკუტსკის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ და სხვ.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის სხდომამ განიხილა საკითხი რესპუბლიკაში უცხოელ ტურისტთა მიღებისა და მომსახურების დონის ასამაღლებლად საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ხელმძღვანელობს რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველო გარკვეულ მუშაობას ეწევა უცხოეთისა და საბჭოთა კლიენტურის მომსახურების ორგანიზაციის სრულყოფისათვის, ტურისტული სერვისის დონის ასამაღლებლად.

დარგის შრომითმა კოლექტივებმა წარმატებით გაართვეს თავი მიმდინარე ხუთწლედის ოთხი წლის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას. მარტო 1984 წელს რესპუბლიკაში მომსახურება გაეწია 204 ათას ჩამოსულ უცხოელ მოქალაქეს, რაც თითქმის 30 ათასი კაცით აღემატება შარშანდელი წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

შესამჩნევად გაფართოვდა უცხოელ ტურისტებთან ინფორმაციულ-პროპაგანდისტული მუშაობის მასშტაბები, გაუმჯობესდა მისი შინაარსი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისისა და 1985 წლის აპრილის პლენუმების მითითებათა შესაბამისად გარდაიქმნა ინფორმაციულ-საექსკურსიო მუშაობა.

ამასთან აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში უცხოელ ტურისტთა მიღებისა და მომსახურების საქმეში კვლავ ნაკლოვანებები დ ხარვეზებია.

კადრების ხარისხობრივი სტრუქტურის მთელი რიგი მაჩვენებლები ჯერ კიდევ ჩამორჩება საშუალო დარგობრივ დონეს მთლიანად ქვეყანაში.

მუშა-მოსამსახურეთა პროფესიული და ეკონომიკური სწავლება ყოველთვის სრულად არ უკავშირდება დარგის, კონკრეტული შრომითი კოლექტივის ამოცანებს.

ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში კვლავ არასაკმარისია ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მუშაობის მდგომარეობის, წესრიგისა და ორგანიზებულობისათვის. არასაკმარისად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის შესასრულებლად, დარგში სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად.

რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიერ განხორციელებული ცალკეული ღონისძიებების მიუხედავად მთელი რიგი საჩვენებელი ობიექტების მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

საკმარისი ყურადღება არ ეთმობა უცხოეთის ტურიზმის მარშრუტებისა და ტრასების კეთილმოწყობისა და მათზე სათანადო სანიტარიული წესრიგის დამყარების საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელი სტუმრებისათვის გათვალისწინებული სუვენირების სამახსოვრო საჩუქრების ასორტიმენტი სრულად ვერ უპასუხებს მოთხოვნებს, საკმარისად არ ასახავს ქართული გამოყენებითი ხელოვნების მდიდარ ტრადიციებს.

ცალკეული თარჯიმან-გიდების მუშაობაში იგრძნობა არასაკმარისი პროფესიული მომზადება, პროპაგანდისტული შტამპი და ა. შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიამ სათანადო რჩევა მისცა საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასა და ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვა-გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს.

* *

*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიამ ამა წლის 9 აგვისტოს სხდომაზე მოისმინა საკითხი „მგზავრთა მომსახურებისათვის ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 5 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში მგზავრთა გადაყვანის მდგომარეობის თაობაზე. სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს კოლექტივი თანამიმდევრულ მუშაობას ეწევა მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მეთერთმეტე ხუთწლედის ოთხ წელიწადში რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 9,8 მილიონი მგზავრი, შესრულებულია 17,4 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი, რაც შესაბამისად 18,1 პროცენტითა და 43 პროცენტით მეტია მეათე ხუთწლედის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

სტაბილურად სრულდებოდა მგზავრთა გადაყვანის მგზავრბრუნვის დავალებანი.

წარმატებით ეწევა ექსპლუატაცია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საერთაშორისო ავიახაზებს. თუ 1981 წელს საერთაშორისო ავიახაზების სიგრძე 1466 კმ შეადგენდა, 1985 წელს მან 10 ათას კმ გადააჭარბა. ამჟამად საერთაშორისო მარშრუტებით ფრენა წარმოებს თბილისიდან ბერლინში, ვარნაში, დრეზდენსა და პრაღაში.

ამაღლდა ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დონე. 1984 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სისტემაში არ ყოფილა ავარიის შემთხვევა.

გაიზარდა კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების ეფექტიანობა.

დადებითი ძვრებია დისციპლინის განმტკიცებისა და ორგანიზებულობის ამაღლების საქმეში, ფრენის დროს მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებაში, გაფართოვდა ბილეთების სალაროებისა და საჰაერო მიმოსვლის სააგენტოების ქსელი, ამაღლდა თვითმფრინავთა მოძრაობის განრიგის სტაბილურობა.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოსა და მის ქვედანაყოფთა მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიამ „მგზავრთა მომსახურებისათვის ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 5 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მიერ მგზავრთა გადაყვანის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობა ჩათვალა არასაკმარისად და სათანადო რჩევა მისცა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს რეკომენდაცია მიეცათ მფრინავთა პროფესიის ფართო პროპაგანდის მიზნით განიხილონ ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის საშუალო სკოლებში „ნორჩ მფრინავთა კლუბების“ ორგანიზაციის მიზანშეწონილობის საკითხი.